ევროკავშირი
საქართველოსთვის

unicef
for every child

ბავშვთა დაცვის სისტემების და მომსახურებების გაძლიერება საქართველოში
STRENGTHENING SYSTEMS AND SERVICES FOR CHILD PROTECTION IN GEORGIA

გახდი მინდობით აღმზრდელი

გაუზიარე ოჯახი მას, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება

ბავშვის სწორად განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახური სითბო და გარემო, ამიტომ პრიორიტეტულია ბავშვი იზრდებოდეს თავის ბიოლოგიურ ოჯახში. თუმცა რიგი მიზეზების გამო, როდესაც ბიოლოგიურ ოჯახს დროებით არ აქვს ბავშვზე მზრუნველობის შესაძლებლობა ან ირღვევა ბავშვის უფლებები, მინდობით აღზრდა ზრუნვის საუკეთესო ფორმაა.

მინდობით აღზრდა ალტერნატიული ზრუნვის ფორმაა, რომელიც მზრუნველობა-მოკლებული ბავშვს აძლევს შესაძლებლობას გაიზარდოს თბილ, მზრუნველ და ბავშვზე ორიენტირებულ ოჯახურ გარემოში.

ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს და მიმღებ ოჯახს შორის ფორმდება ხელშეკრულება გარკვეული ვადით.

აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიური მშობლები, ჩვეულებრივ, რჩებიან ბავშვის კანონიერ მეურვეებად, რაც ნიშნავს, რომ ბიოლოგიურ დედ-მამას აქვს ბავშვზე ყველა იურიდიული გადაწყვეტილების მიღების უფლება.

თუ გაქვს სურვილი, იზრუნო და აჩუქო უსაზღვრო სითბო და სიყვარული მზრუნველობამოკლებულ ბავშვს, გახდი მინდობით აღმზრდელი.

მინდობით აღმზრდელის მოვალეობები:

- იზრუნოს ბავშვზე მისი **ინდივიდუალური საჭიროებების** გათვალისწინებით;
- შეუქმნას ბავშვს **უსაფრთხო და კეთილსაიმედო ოჯახური** გარემო
- უზრუნველყოს ბავშვის **ყოველდღიური საჭიროებები**, როგორიცაა საკვები, ტანისამოსი და სხვა;
- ხელი შეუწყოს ბავშვს მის **ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობაში**
(თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს).

მინდობით აღზრდა ანაზღაურებადია და ითვლება შრომით სტაჟში.

მინდობით აღმზრდელი სახელმწიფოსგან იღებს ფულად სოციალურ დახმარებას, რომელიც გადაეცემა ბავშვის მოვლისა და აღზრდისათვის.

მინდობით აღზრდის მსურველებმა უნდა გაიარონ შემდეგი ეტაპები:

01 საინფორმაციო შეხვედრა მინდობით აღზრდის შესახებ, რომელიც ორგანიზებულია World Vision საქართველოს მიერ;

02 „მინდობით აღზრდის მსურველი პირის საორიენტაციო სესიაზე დასწრების განაცხადის ფორმის“ შევსება და World Vision საქართველოს წარმომადგენლისთვის მიწოდება;

03 საორიენტაციო შეხვედრა - დეტალური ინფორმაცია მინდობით აღზრდის შესახებ;

04 „მინდობით აღზრდის მსურველ პირის საბაზისო მონაცემები და ოჯახში საორიენტაციო ვიზიტის განხორციელებაზე თანხმობის ფორმის“ შევსება და World Vision საქართველოს წარმომადგენლისთვის მიწოდება;

05 World Vision საქართველოს სოციალური მუშაკის საორიენტაციო ვიზიტი ოჯახში;

06 მინდობით აღზრდის მოსამზადებელი კურსზე განაცხადის გაკეთება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში;

07 მინდობით აღზრდის მოსამზადებელი კურსის გავლა და სერტიფიკატის მიღება;

08 მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციაზე განაცხადის გაკეთება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში.

ეს მნიშვნელოვანია

მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციის განცხადებისთვის საჭირო დოკუმენტაციისა და მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ WORLD VISION საქართველოს წარმომადგენელს, რომელიც თქვენი მხარდამჭერი იქნება ამ პროცესში.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია WORLD VISION საქართველოს ფონდი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

info@worldvision.ge
www.worldvision.ge
World Vision GEORGIA